



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/36

„ 24 „ მაისი 2014წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/207-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/207-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესში“ (დანართი 1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. კანდიდატის რეგისტრაცია და საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასური

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება პირველი გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს ოცდახუთი დღით ადრე და წყდება გამოცდის ჩატარებამდე ათი დღით ადრე. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ დაგვიანებით შემოსული განცხადება არ მიიღება.

2. კანდიდატი რეგისტრირდება მხოლოდ საერთო საკვალიფიკაციო ან ერთ-ერთი სპეციალიზაციის მიხედვით.

3. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მსურველი ელექტრონულად რეგისტრირდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით ან შეაქვს საბუთები საორგანიზაციო კომისიაში, რომელიც ახდენს კანდიდატის ელექტრონულ რეგისტრაციას. რეგისტრაციისას პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი დამოწმებული სახით, ხოლო ამ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ჩატარებული საგნების დანართი, ასევე დამოწმებული სახით;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) ფერადი ფოტოსურათი ელექტრონული ფორმით.

4. თუ კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს ან წარმოდგენილი საბუთები არ შეესაბამება დადგენილ წესს, ხდება კანდიდატის რეგისტრაციის უარყოფა.

5. კანდიდატის რეგისტრაციის დადასტურების შემთხვევაში პირი საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის იხდის საფასურს 150 ლარის ოდენობით, რომელიც ირიცხება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე.“;

ბ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. საგამოცდო ტესტი

1. ტესტური გამოცდა ტარდება ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

2. საგამოცდო ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისათვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ ას საკითხს.

3. საგამოცდო ტესტის ყოველი საკითხი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი, აღწერილობითი ნაწილი, შეიცავს ფაქტობრივი ცხოვრებისეული შემთხვევის აღწერას, ხოლო მეორე ნაწილი - ამ შემთხვევის სამართლებრივი გადაწყვეტის ოთხ შესაძლო ვარიანტს (პასუხს). ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი. გამოსაცდელმა უნდა აღნიშნოს სწორი პასუხი.“;

გ) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ არც ერთი პასუხი არ არის აღნიშნული, ტესტის ამოხსნა შეფასდება 0 (ნული) ქულით.“;

დ) მე-12-მე-14-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. საგამოცდო დრო

1. ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ხუთი საათი. დროის ამოწურვის შემდეგ პროგრამა აფიქსირებს და აფასებს იმ პასუხებს, რომლის აღნიშვნაც მოახდინა გამოსაცდელმა.

2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ – დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე.

მუხლი 13. საგამოცდო ტესტის შედგენა

საგამოცდო ტესტის შედგენა ხდება თითოეული კანდიდატისათვის ინდივიდუალურად, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

მუხლი 14. ინსტრუქტაჟი ტესტური გამოცდის დაწყებამდე

ტესტური გამოცდის დაწყებამდე გამოსაცდელს უტარდება ინსტრუქტაჟი ელექტრონული პროგრამის გამოყენების შესახებ.“;

ე) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმება

1. ტესტური გამოცდის პასუხები მოწმდება ელექტრონული პროგრამის საშუალებით და გამოცდის დასრულებისთანავე ხდება ცნობილი გამოსაცდელისათვის.

2. ტესტური გამოცდის პასუხების ფურცელი იბეჭდება 2 ეგზემპლარად. დამოწმებული ეგზემპლარი გადაეცემა გამოსაცდელს, ხოლო მეორე რჩება საორგანიზაციო კომისიას.

3. გამოსაცდელს, რომელმაც ტესტური გამოცდის შედეგად დააგროვა 75 (სამოცდათხუთმეტი) და მეტი ქულა, ეძლევა წერით გამოცდაზე გასვლის უფლება.“;

ვ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წერითი გამოცდა ტარდება ელექტრონული პროგრამის საშუალებით ან წერილობითი ფორმით, რის თაობაზეც კანდიდატი წინასწარ ახდენს საორგანიზაციო კომისიის ინფორმირებას.“;

ზ) 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. წერითი გამოცდის ჩაბარების დრო

1. წერითი გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ექვსი საათი. დროის გადაცილების შემდეგ საორგანიზაციო კომისიისათვის გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0 (ნული). ელექტრონული პროგრამა აფიქსირებს საგამოცდო

დროის დასრულებას და ინახავს წერით ნამუშევარს, რომლის ნაბეჭდი სახით საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომისია.

2. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ – დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე.“;

თ) 23-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;

ი) 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. საგამოცდო ბილეთის შედგენა

1. საგამოცდო ტესტის შედგენა ხდება თითოეული კანდიდატისათვის ინდივიდუალურად, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

2. საგამოცდო ბილეთის წერილობითი ფორმით შესრულების შემთხვევაში კანდიდატს საგამოცდო ბილეთი გადაეცემა ნაბეჭდი სახით. წერითი გამოცდის დაწყების წინ გამოსაცდელს დაურიგდებათ საგამოცდო რვეულები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სათანადო აღნიშვნით. გამოსაცდელს არა აქვს უფლება წერითი ნამუშევარი შეასრულოს სხვა რვეულში, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება 0 (ნული).“;

კ) 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. წერითი ნაშრომის გასწორება

1. წერითი გამოცდის ელექტრონული პროგრამის საშუალებით ჩაბარების შემთხვევაში საკვალიფიკაციო კომისიისათვის ნაშრომის წარდგენა ხდება ნაბეჭდი სახით. გამოცდის წერილობითი ფორმით ჩაბარების შემთხვევაში თითოეული გამოსაცდელი ნაშრომს აბარებს საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელს.

2. წერითი ნაშრომები დაიშიფრება და მათი იდენტიფიკაცია მინიჭებული კოდების (ნომრების) მიხედვით განხორციელდება საორგანიზაციო კომისიის მიერ, წერითი ნამუშევრების გასწორების შემდეგ.

3. წერითი ნაშრომის გასწორება ხდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრების მიერ. წერითი გამოცდის შედეგების შემოწმებისას დაცულია გამოსაცდელისა და გამომცდელის ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.“;

ლ) 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკვალიფიკაციო გამოცდის დღეს ყველა გამოსაცდელი უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე დილის 9 საათზე და გაიაროს რეგისტრაცია.

2. გამოსაცდელმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი გამოცდაზე არ დაიშვება.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი